თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2182112

ნომერი: AR1339954

თარიღი : 07.09.2015

გაცემის თარიღი : 10.09.2015

გაცნობის თარიღი : 10.09.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩა N3 (ფეიქრების ქუჩა N14.);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა შატაიძე პ/ნ 24001012505
- კასპი ს. ახალციხე

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ,,ბლოკ ჯორჯია 2012" კოდი: 432540556

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 20 კუბ.მ-მდე მოცულობის 10 მ-მდე სიმაღლის და 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები სცდება I კლასის მახასიათებლებს, აღნიშნულზე შესაბამისი თანხმობის მისაღებად საჭიროა სამი სტადიის გავლა, რადგანაც მომქმედი კანონმდებლობით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამი სტადიით – I სტადია, (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა) II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ. შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. ზემოაღნიშნულის შესახებ უკვე ერთხელ გეცნობათ სამსახურის №2160706 გადაწყვეტილებით. გარდა ამისა დაწყებულია წარმოება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით AR1339011 ელექტრონული განაცხადი, რომელიც ამ ეტაპზე შუალედურია . შესაბამისად საჭიროა წარმოება გააგრძელოთ ამ განაცხადით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.